პროექტი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება N -------

2017 წლის ---------- ქ. თბილისი

„საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 28 სექტემბრის №126/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 28 სექტემბრის №126/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 28/09/2015, სარეგისტრაციო კოდი: 270090000.22.022.017033) და ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების მე-10 მუხლის:

1. მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მასწავლებელს მიეცემა ამ მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული სრული ოდენობა იმ შემთხვევაში, თუ სკოლაში შესაბამისი საგნისათვის გათვალისწინებული საგაკვეთილო საათების რაოდენობა ნაკლებია ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სრული ოდენობის მისაღებად საჭირო საგაკვეთილო საათების რაოდენობაზე.“.

2. მე-6 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ალექსანდრე ჯეჯელავა

განმარტებითი ბარათი

„საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 28 სექტემბრის №126/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების პროექტთან დაკავშირებით

წარმოდგენილი ბრძანების პროექტი ითვალისწინებს ცვლილების შეტანას „საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 28 სექტემბრის №126/ნ ბრძანებაში. აღსანიშნავია, რომ მასწავლებლებს მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით განსაზღვრული შესაბამისი სტატუსის დანამატი ეძლევათ სრული დატვირთვის შემთხვევაში.

ბრძანების მოქმედი რედაქციით განსაზღვრულია, რომ მასწავლებელს მიეცემა დანამატის სრული ოდენობა იმ შემთხვევაში, თუ სკოლაში შესაბამის საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნის/საგნებისათვის გათვალისწინებული საგაკვეთილო საათების რაოდენობა ნაკლებია ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სრული ოდენობის მისაღებად საჭირო საგაკვეთილო საათების რაოდენობაზე. გამონაკლისს არსებული მდგომარეობით წარმოადგენს უცხო ენის საგანი. განსაზღვრულია, რომ უცხო ენის მასწავლებელს მიეცემა დანამატის სრული ოდენობა იმ შემთხვევაში, თუ სკოლაში შესაბამისი უცხო ენისათვის გათვალისწინებული საგაკვეთილო საათების რაოდენობა ნაკლებია სრული ოდენობის მისაღებად საჭირო საგაკვეთილო საათების რაოდენობაზე.

მასწავლებლების თანაბარ პირობებში ჩაყენების მიზნით მიზანშეწონილია ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განისაზღვროს, რომ მასწავლებელს მიეცემა დანამატის სრული ოდენობა იმ შემთხვევაში, თუ სკოლაში შესაბამისი საგნისათვის გათვალისწინებული საგაკვეთილო საათების რაოდენობა ნაკლებია სრული ოდენობის მისაღებად საჭირო საგაკვეთილო საათების რაოდენობაზე.

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული ცვლილებების საფინანსო-ეკონომიკური ეფექტის დადგენის მიზნით, ჩატარდა სტატუსის დანამატის 2017 წლის იანვარ-მაისის თვეების მონაცემების ანალიზი და შედეგების კომპიუტერული მოდელირება. 2017 წლის იანვარ-მაისის თვეების სტატუსის დანამატის ჯამური ოდენობების შედარებამ აჩვენა ამ სიდიდის უმნიშვნელო მერყეობა 0.12% ფარგლებში. ვინაიდან ერთი თვის სტატუსის დანამატის ჯამური ოდენობა თითქმის უცვლელი აღმოჩნდა, „საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობა და პირობების" მე-10 მუხლის მე-5 პუნქტში ცვლილების და მე-6 პუნქტის ამოღების ეფექტის განსაზღვრის მიზნით, ამ ნორმათა ახალი რედაქციის გათვალისწინებით, გაანგარიშდა საჯარო სკოლების პედაგოგთა სქემით განსაზღვრული შესაბამისი სტატუსის დანამატის ოდენობა, მხოლოდ 2017 წლის მაისის თვის საგაკვათილო დატვირთვის მონაცემების გამოყენებით. მიღებული შედეგების შედარებამ, ნორმათა ძველი რედაქციის პირობებში, 2017 წლის მაისის თვის საგაკვეთილო დატვირთვის საფუძველზე გაანგარიშებულ პედაგოგთა სქემით განსაზღვრული შესაბამისი სტატუსის დანამატის ოდენობასთან აჩვენა შემდეგი:

2017 წლის მაისის თვის სტატუსის დანამატის ჯამური ოდენობა, ნორმათა მოქმედი რედაქციის პირობებში შეადგენდა 4 710 798 ლარს, ხოლო ახალი რედაქციის პირობებში შეადგინა 4 767 498 ლარი, ანუ გაიზარდა 56 700 ლარით. ამგვარად, ბრძანების ახალი რედაქციის პირობებში ერთი თვის დანამატის ჯამური ოდენობა შეიძლება გაიზარდოს, დაახლოებით 1.2%-ით.

ზემოაღნიშნულ ნორმათა ახალი რედაქციის ამოქმედების შემთხვევაში 2017 წლის მაისის მონაცემების მიხედვით, იმ მასწავლებელთა რიცხვი, რომლებიც მიიღებდნენ სრულ დანამატს, გაიზარდა 537-ით და შეადგინა 1935 მასწავლებელი.

ბრძანების პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ასიგნებების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბრძანების პროექტის ავტორი და წარმდგენია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

ბრძანების პროექტს საფუძვლად დაედო საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის 2016 წლის 15 ივლისის N01-01-74 წერილი (სამინისტროში რეგისტრაციის N874857, 15.07.2016). ბრძანების პროექტთან დაკავშირებით წარმოდგენილია სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2017 წლის 09 ივნისის N630777 წერილი. ბრძანების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები არ გააჩნია საქართველოს ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტს (სამსახურებრივი ბარათი N639759, 12.06.2017) და ეკონომიკურ დეპარტამენტს (სამსახურებრივი ბარათი N1295850, 23.10.2017).